საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი: თ. ს. ს. (მოსამართლე დ. ა.)

მომართვისკომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.06.2022

მომართვის რეგისტრაციის ნომერი: 041/22

მომართვა შემოტანილია: ადვოკატ დ. ც.-ის /სიითი №/ მიმართ

მომართვის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 09 ივნისს მომართა თ. ს. ს.მ (მოსამართლე დ. ა.-მა) და მოითხოვა ადვოკატ დ. ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომართვის ავტორს ფოსტის საშუალებით რამდენჯერმე ეცნობა როგორც საპროცესო, ისე განხილვის კოლეგიის სხდომის თარიღი, თუმცა მას ეთიკის კომისიის სხდომებში მონაწილეობა არ მიუღია. მომართვის ავტორს ფოსტის საშუალებით გაეგზავნა ადვოკატ დ. ც.-ის მიერ ეთიკის კომისიაში 2023 წლის 23 თებერვალს წარმოდგენილი განცხადება, სადაც ის ბოდიშს უხდის მოსამართლეს ჩადენილი ქმედების გამო, თუმცა

მომართვის ავტორს აღნიშნულ განცხადებაზე საკუთარი პოზიცია არც წერილობითი და არც ზეპირი ფორმით წარმოუდგენია.

1.2 მომართვის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 18 მაისს განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციული საქმე N--, აპელანტი - ი. თ. (წარმომადგენელი - ადვოკატი დ. ც.); მოპასუხე - სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“. მომართვის ავტორის განცხადებით, 2022 წლის 01 ივნისს, წინამდებარე საქმეზე ადვოკატმა დ. ც.-მ სააპელაციო პალატას მიმართა განცხადებით N--, რომლის შინაარსი არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს.

1.3 მომართვის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ადვოკატ დ. ც.-ის მიერ თ. ს. ს.-ს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2022 წლის 01 ივნისს წარდგენილი N განცხადება: „..... მე მაინტერესებს მართლა იკადრა თუ არა თქვენმა თანაშემწემ მსგავსი ვირეშმაკობა?! და თუ კი, როდის იყო, რომ ადვოკატის განცხადების შესაბამისად ნიშნავდით პროცესებს?! ..... ეს დედამოტ***ლი ყველგან რავა ესეთი სიჩლუნგე მძვინვარებს, კანონი რისთვის არის?! განა კანონი არ განსაზღვრავს რა ვადაში უნდა იქნეს განხილული სააპელაციო საჩივარი?! რაღა განცხადებები აგიტყდათ?! ძალიან გთხოვთ გაერკვიოთ აღნიშნული საკითხით, პროცესზე თუ ჩემი მარწმუნებლის დედა გაიმეორებს იგივეს რაც მითხრა, დაუყოვნებლივ დავაყენებ თქვენი აცილების საკითხს, ასეთი ვირეშმაკობების პირობებში არ მჭირდება სამართლიანი მართლმსაჯულებაც კი!!!“.

1.4 მომართვის ავტორმა 2022 წლის 09 ივნისს ეთიკის კომისიაში მტკიცებულების სახით წარმოადგინა ადვოკატ დ. ც.-ის მიერ 2022 წლის 19 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი კიდევ ერთი განცხადება შემდეგი ფორმულირებებით: „..... ასე ხელოვნურად აჯანჯლებთ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებას, რომ მერე დაიწყოთ ჩივილი ბევრი საქმე დაგვიგროვდაო და მეორეც რა საქციელია მოსამართლის მიერ ესე ქურდულად გადაწყვეტილების გამოცხადება, რომ გეთქვათ რომელ დარბაზში აცხადებდით მოვიდოდით შეგჭამდით თუ რა მოხდებოდა ვერ ვხვდები..... ესე აპირებთ ქალბატონო ი. გ. სამოსამართლეო საქმიანობას, თუ ისევ მცხეთის სასამართლოში გსურთ თანაშემწედ დაბრუნება?! სასწრაფოდ ჩამაბარეთ თქვენი უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება და სასწრაფოდ აიცილეთ ჩემი სხვა მარწმუნებლების ჯ. ც.-ის და რ. მ.-ის საქმეები! არ გადამრიოთ!!!“. მომართვის ავტორის პოზიციით, აღნიშნული განცხადებაც დაახლოებით იმავე შინაარსისაა და მეტყველებს ადვოკატის არაეთიკურ ქცევაზე.

1.5 მომართვის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის ნორმები, რის გამოც ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ც.-მ ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2022 წლის 14 ივნისს, სადაც მიუთითა, რომ არაკეთილსინდისიერი, არაობიექტური, ტენდენციური, მიკერძოებული, ხელმრუდე, ფსევდო მოსამართლეთა რიცხვს მიეკუთვნება დ. ა., რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ვადების დაცვით განიხილოს მის წარმოებაში არსებული საჩივრები, წერს ყოვლად უსარგებლო საჩივრებს. 2022 წლის 08 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა დ. ც.-მ ზეპირი შუამდგომლობა წარმოადგინა სხდომის გადადების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა

კოლეგიის მიერ და სხდომა გადაიდო 2022 წლის 20 სექტემბერს. 2022 წლის 13 სექტემბერს ადვოკატმა დ. ც.-მ შუამდგომლობით მომართა საპროცესო კოლეგიას, სადაც განმარტა, რომ 20 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებდა, ვინაიდან კოლეგია იყო მიკერძოებული და არაობიექტური. ადვოკატ დ. ც.-ს 20 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ის დარწმუნდა მოსამართლე დ. ა.-ს ინტელექტში, რომელიც საჩივარში ვერ აყალიბებს რა ფორმისა და ხასიათის განცხადება წარადგინა ადვოკატმა, ვის მიაყენა შეურაცხყოფა. ადვოკატი ახსნა-განმარტებაში უთითებს: „მოსამართლე მოქმედებს შემდეგი პრინციპით - „მოსამართლემ“ იჩივლა და ადვოკატთა ასოციაციამ იმტვრიოს თავი რატომ იჩივლა და რა შეურაცხყოფა მიაყენეს, მთავარია ხომ დაწერა ადეკვატური რეაგირებაა საჭიროო, ამასთან, ხომ ხედავთ რა ვირეშმაკობასთან გვაქვს საქმე, ფაქტობრივად საჩივარი იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ ახალბედაშვილი ცდილობს მომჩივანის როლის დაფარვას და გვევლინება ე.წ „დანოსჩიკად“ ანუ ინფორმაციის მომწოდებლად, აქაოდა ნახეთ დ. ც.-მ რა ქნაო“. ადვოკატის პოზიციით, ასეთი ფორმადაუცველი საჩივარი ეთიკის კომისიას საერთოდ არ უნდა მიეღო წარმოებაში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 01 ივნისის N განცხადებაში მოსამართლეს ატყობინებს მისი თანაშემწის „ამაზრზენ“ ქმედებაზე; სთხოვს საქმეში გარკვევას, ხოლო ფაქტის დადასტურების შემთხვევაში პირდება მის მიმართ აცილების შუამდგომლობის დაყენებას და არავის აყენებს შეურაცხყოფას. ადვოკატმა დ. ც.-მ განმარტა, რომ მისი მხრიდან სასამართლოში განცხადების წარდგენა განპირობებული იყო კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით. ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტის დედამ განცხადებით მიმართა მოსამართლე დ. ა.-ს თანაშემწეს -ვ. ჩ., ვინაიდან დაინტერესებული იყო სწრაფი მართლმსაჯულებით და პროცესის ჩანიშვნით, რაზეც მოსამართლის თანაშემწისაგან მიიღო შემდეგი ინფორმაცია: „ადვოკატს, რომ განცხადება დროულად დაეწერა პროცესის ჩანიშვნაზე, ივნისის თვეში უკვე ჩანიშნავდნენ პროცესს, ეხლა კიდევ დროულად დაწეროს ადვოკატმა განცხადება, თორემ ივლისის თვეშიც არ დაინიშნება.“ ადვოკატის განცხადებით, კლიენტის დედისაგან მიღებულმა ინფორმაციამ გამოიწვია მისი მხრიდან სასამართლოში სადავო შინაარსის განცხადების წარდგენა.

2.4 ადვოკატის პოზიციით, 2022 წლის 01 ივნისის N-- განცახდებაში, ვინმეს შესაძლოა პრობლემატურად მოეჩვენოს შემდეგი წინადადება: „ეს დედამოტ***ლი ყველგან რავა ესეთი სიჩლუნგე მძვინვარებს, კანონის რისთვის არის“, რაც ზოგადი ფრაზაა, გამოხატავს ადვოკატის აღშფოთებას და არ მიემართება რომელიმე კონკრეტულ სუბიექტს. ადვოკატი მიიჩნევს, რომ სხვა საკითხი იქნებოდა მოსამართლის ან თანაშემწისთვის რომ ეწოდებინა „შე დედამოტ***ლო ან „თქვე დედამოტ***ლებო“. ადვოკატის განმარტებით, მის მიერ თ. ს. ს.-ში წარდგენილი განცხადება ეფექტური აღმოჩნდა, რაზეც მეტყველებს მოსამსართლე დ. ა.-ს საჩივარიც.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე დ. ა.-მა „ფინთი გოიმივით გამოავლინა თავი; ის არის არაკეთილსინდისიერი, არაობიექტური, მიკერძოებული, არასამართლიანი, მოსამართლე, არ აქვს ელემენტარული განცხადების გაანალიზების უნარი“.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ თავად მისცა აცილების საფუძველი; წინასწარ გამოავლინა საქმისდმი დამოკიდებულება და შედეგი წინასწარ ამცნო ადვოკატს, როდესაც მან ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მოსამართლე ი. გ.-სთვის 2022 წლის 19 აპრილს გაგზავნილი განცხადება, რაც მოსამართლე დ. ა.-ს შეფასებით, „დაახლოებით იმავე შინაარსის“ განცხადებაა, რაც 2022 წლის 01 ივნისს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადება. ადვოკატი უთითებს, რომ სწორედ მოსამართლე ი. გ.-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა მის მიერ გასაჩივრებული და სწორედ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე უნდა იმსჯელოს მოსამართლე დ. ა.-მა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარია 2022 წლის 19 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის - ი. გ.-სთვის გაგზავნილი განცხადების ტექსტი რატომ მიიჩნია „ნაპროკურორალმა დ. ა.-მა შეურაცხმყოფელად“. ადვოკატის განცხადებით, მოსამართლე ი. გ.-ის ქმედებების გამო საჩივრით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და დამოუკიდებელ ინსპექტორს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე დ. ა. „უკანონოდ მოქმედებს, როცა დადგენილ ვადაში არ ნიშნავს სასამართლო პროცესს და განსკუთრებული მონდომებით ცდილობს ყველაფერი გადააბრალოს წარმომადგენელს. რწმუნებულის დედას გეშავს წარმომადგენელზე, რომ მას პრეტენზიები ჰქონდეს არა სასამართლოსთან, არამედ ადვოკატთან, რომელმაც დროულად არ წარადგინა განცხადება“.

2.9 ადვოკატის შეფასებით, წარმომადგენლის როლის დაკნინების მიზნით, მოსამართლე შესაგებელს უგზავნის მხარეს და არა ადვოკატს, რათა მარწმუნებელს შეექმნას შთაბეჭდილება „ადვოკატი ვინ ჩემი ფეხებია“. ადვოკატის პოზიციით, მოსამართლე დ. ა.-მა მადლობა უნდა გადაუხადოს, რომ ადვოკატის პროფესიის შეურაცხყოფისათვის უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში დედა არ აგინა და მაქსიმალურად დაიცვა ეთიკურობის ფარგლები.

2.10 2023 წლის 23 თებერვალს ადვოკატმა დ. ც.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მოსამართლე დ. ა.-სათვის 2023 წლის 6 ოქტომბერს გაგზავნილი განცხადება N, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი დასრულდა მისი მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, ის მადლობას უხდის მოსამართლეს პროცესის სამართლიანად წარმართვისათვის; ბოდიშს იხდის მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე და განმარტავს, რომ პროცესის მიმართ გულმხურვალე დამოკიდებულებიდან გამომდინარე „უმტყუნა ნერვებმა“, რამაც გამოიწვია მისი არაეთიკური ქცევა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მოსამართლის პიროვნების მიმართ მისი უარყოფითი დამოკიდებულება იყო შეცდომა და წარმატებას უსურვებს მოსამართლეს პროფესიულ საქმიანობაში.

2.11 ადვოკატმა დ. ც.-მ 2023 წლის 16 მარტს მონაწილეობა მიიღო განხილვის კოლეგიის სხდომაში, სადაც განმარტა, რომ ის არ ეთანხმება მის მიერ ადრე წარმოდგენილ პოზიციას, აცნობიერებს, რომ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, სრულად იაზრებს, რომ მისი საქციელი არ შეესაბამებოდა ადვოკატის როლს, ნანობს ჩადენილს და ბოდიშს იხდის ადვოკატთა კორპუსის წინაშე. ადვოკატმა დააზუსტა, რომ მან ბოდიში მოუხადა მომართვის ავტორს და შესაბამისი განცხადებით, 6 ოქტომბერს მიმართა სასამართლოს კანცელარიას. ადვოკატის განცხადებით,

მან ასევე ბოდიში მოუხადა სხვა მოსამართლესაც, რომელთანაც ადრე ჰქონდა უთანხმოება. ადვოკატმა დ. ც.-მ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე პირისათვის შეურაცხყოფის მიყენება არის მიუღებელი, ადვოკატი ვალდებულია მის მიერ გამოთქმული კრიტიკა არ იყოს უხამსი ტერმინოლოგიით გამოხატული და მომავალში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ის ზედმიწევნით დაიცავს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს და მისი მხრიდან მსგავს გადაცდომას ადგილი აღარ ექნება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 20 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე სასამართლოში ქცევის წესის დარღვევის ნაწილში („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(გ) და 6.1; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლები: 5 და 9.1).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 თ. ს. ს.-ში (მოსამართლე დ. ა.) განიხილებოდა ადმინისტრაციული საქმე N--, სადაც აპელანტს წარმოადგენდა ი. თ., რომლის წარმომადგენელიც იყო ადვოკატი დ. ც. .

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა-ახსნა-განმარტება;

ადვოკატ დ. ც.-ის მიერ თ. ს. ს.-ს კანცელარიაში წარდგენილი განცხადება.

4.1.2 ადმინისტრაციული საქმეზე N, ადვოკატმა დ. ც.-მ 01.06.22 წელს თ. ს. ს.ს კანცელარიაში წარადგინა განცხადება, სადაც მიუთითა შემდეგი ფრაზები: „„..... მე მაინტერესებს მართლა იკადრა თუ არა თქვენმა თანაშემწემ მსგავსი ვირეშმაკობა?! და თუ კი, როდის იყო, რომ ადვოკატის განცხადების შესაბამისად ნიშნავდით პროცესებს?! ..... ეს დედამოტ***ლი ყველგან რავა ესეთი სიჩლუნგე მძვინვარებს, კანონის რისთვის არის?! განა კანონი არ განსაზღვრავს რა ვადაში უნდა იქნეს განხილული სააპელაციო საჩივარი?! რაღა განცხადებები აგიტყდათ?! ძალიან გთხოვთ გაერკვიოთ აღნიშნული საკითხით, პროცესზე თუ ჩემი მარწმუნებლის დედა გაიმეორებს იგივეს რაც მითხრა, დაუყოვნებლივ დავაყენებ თქვენი აცილების საკითხს, ასეთი ვირეშმაკობების პირობებში არ მჭირდება სამართლიანი მართლმსაჯულებაც კი!!!“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

ადვოკატ დ. ც.-ის მიერ 06.10.22 წელს თ. ს. ს.ს კანცელარიაში წარდგენილი განცხადება.

4.1.3 ადვოკატმა დ. ც.-მ 2022 წლის 6 ოქტომბერს სასამართლოს კანცელარიაში წარადგინა N-- განცხადება, სადაც ბოდიში მოუხადა მოსამართლე დ. ა. - ს. ადვოკატი განცხადებაში უთითებს: „.....ჩვენი სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილეთ, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ზოგადად,

სასამართლო პროცესით კმაყოფილი დავრჩი, სრულად მოგვეცა დრო და შესაძლებლობა მაქსიმალურად დაგვესაბუთებინა სააპელაციო მოთხოვნა. ჩვენს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის ფონზე ველოდებოდი ანგარიშსწორებას, მაგრამ თქვენგან არ მიგრძვნია მსგავსი.... ამ ყველაფერმა გამიჩინა სურვილი მოგიხადოთ ბოდიში ჩემგან წამოსულ ყოველგვარ წყენაზე.... სამი ოქტომბრის სასამართლო პროცესმა მაგრძნობინა, რომ თქვენი პიროვნების მიმართ ჩემი უარყოფითი განწყობა იყო შეცდომა, ამდენად გისურვებთ სიკეთეს და წარმატებულ სამოსამართლეო საქმიანობას.“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის ახსნა-განმარტება;

თ. ს. ს.-ში 06.10.22 წელს წარდგენილი N-- განცხადება.

4.1.4 ადვოკატმა დ. ც.-მ 2023 წლის 16 მარტს, განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი განმარტება, რომ სრულად იაზრებს მისი საქციელის სიმძიმეს და მიუღებლად მიაჩნია ადვოკატის მხრიდან მსგავსი ფრაზეოლოგიისა და ტერმინების გამოყენება. ადვოკატმა განმარტა, რომ ნანობს ადრინდელ ქცევას და მომავალში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ზედმიწევნით დაიცავს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2023 წლის 16 მარტის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ც.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ადვოკატმა დ. ც.-მ 01.06.22 წელს თ. ს. ს.-ს კანცელარიაში წარადგინა N-- განცხადება, სადაც სადაც მიუთითა შემდეგი ფრაზები: „„..... მე მაინტერესებს მართლა იკადრა თუ არა თქვენმა თანაშემწემ მსგავსი ვირეშმაკობა?! და თუ კი, როდის იყო, რომ ადვოკატის განცხადების შესაბამისად ნიშნავდით პროცესებს?! ..... ეს დედამოტ***ლი ყველგან რავა ესეთი სიჩლუნგე მძვინვარებს, კანონის რისთვის არის?! განა კანონი არ განსაზღვრავს რა ვადაში უნდა იქნეს განხილული სააპელაციო საჩივარი?! რაღა განცხადებები აგიტყდათ?! ძალიან გთხოვთ გაერკვიოთ აღნიშნული საკითხით, პროცესზე თუ ჩემი მარწმუნებლის დედა გაიმეორებს იგივეს რაც მითხრა, დაუყოვნებლივ დავაყენებ თქვენი აცილების საკითხს, ასეთი ვირეშმაკობების პირობებში არ მჭირდება სამართლიანი მართლმსაჯულებაც კი!!!“. ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

კლიენტის ინტერესების დაცვისას, ადვოკატმა უნდა იხელმძღვანელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი", მუხლი 9.1).

კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

6.2 განხილვის კოლეგიის განმარტებით, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ნების შესაბამისად და კლიენტთან შეთანხმებით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და კანონის მოთხოვნათა დაცვით პროფესიონალურად დაიცვას კლიენტი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში, წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოს მიმართოს განცხადებებითა და შუამდგომლობებით და ა.შ.. ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა და ღირსება სწორედ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მის მიერ კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებაში ვლინდება.

6.3 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის განმარტებას, რომ ადვოკატის პროფესია არის თვითრეგულირებადი, ღირსეული და საპასუხისმგებლო. ადვოკატი არის დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს სრულ თავისუფლებას. ადვოკატის არაეთიკური ქცევა იწვევს ეთიკური სტანდარტის დარღვევის პროპორციულ პასუხისმგებლობას. სასამართლოსთან ურთიერთობის სტანდარტის დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. ადვოკატი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით მოსამართლესთან, თანაშემწესთან და სხდომის მდივანთან ურთიერთობის დროს უნდა იყოს ეთიკური, გაწონასწორებული და ღირსეული მაშინაც, როდესაც მისთვის მიუღებელია მოსამართლის, თანაშემწისა თუ სხდომის მდივნის ქცევა და/ან დამოკიდებულება.

6.4 აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17). აღნიშნული უფლებები არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს.

6.5 „ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას აქვს კრიტიკის უფლება, მაგრამ მან შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენოს მართლმსაჯულების სისტემას და მის მონაწილე პირებს. ადვოკატმა უნდა იცოდეს თუ სად გადის ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფელ განცხადებებს შორის ისე, რომ არ აეკრძალოს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.04.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N141/13).

6.6 ადვოკატი დ. ც. სადავოდ არ ხდის მის მიერ სასამართლოში განცხადებების წარდგენის ფაქტებს. სადავო განცხადებაში გამოყენებულ ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით, ადვოკატმა განსხვავებული პოზიცია წარმოადგინა განხილვის კოლეგიაში და განმარტა, რომ მის მიერ წარდგენილი განცხადება და ფრაზეოლოგია გამოწვეული იყო კლიენტის დედისაგან მიღებული ინფორმაციის აქტუალობითა და დაძაბული სასამართლო პროცესით. 2023 წლის 16 მარტის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ სადავო განცხადებაში გამოყენებული ტერმინოლოგია არის უხამსი, ამორალური, არ შეესაბამება ადვოკატის როლსა და ქცევის წესებს. ადვოკატმა განაცხადა, რომ ნანობს მოსამართლისათვის შეურაცხყოფის მიყენებას და მომავალში პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მკაცრად დაიცავს ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს. განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ადვოკატმა დ. ც.-მ სააპელაციო სასამართლოში განცხადება წარადგინა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვით მიზნით, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპის დარღვევის თავიდან ასაცილებლად და ადვოკატის მიერ სააპელაციო სასამართლოში 2022 წლის 01 ივნისს წარდგენილი სადავო განცხადება შეაფასა არა განყენებულად, არამედ ერთიანი კონტექსის გათვალისწინებით. განხილვის კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ მართალია, ადვოკატ დ. ც.-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში განცხადება წარდგენილია კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, თუმცა, ადვოკატის მიერ გამოთქული მოსაზრებები შეურაცხმყოფელი ტერმინებითაა გადმოცემული და მის მიერ შედგენილი განცხადების ტექსტი შედგენილია არაეთიკური, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ტემინოლოგიით - მათ შორის გინების ტექსტით, რაც არ ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და წარმოადგენს სასამართლოსთან კომუნიკაციისა და სასამართლოში ქცევის წესების დარღვევას.

6.7 განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა მხარეთა ახსნა-განმარტებები; საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ ადვოკატმა საქმის განმხილველი მოსამართლისათვის უხამსი, არაეთიკური შინაარსის წერილის გაგზავნით დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტი, სასამართლოსა და პროცესის მონაწილის უფლებების შელახვისა და სასამარტლოსი მოქმედი ქცევის წესის დარღვევის დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

6.8 „პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად...“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.9 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.10 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე Nდს-შ/3-17, 22.05.2017).

6.11 განხილვის კოლეგია მოცემულ შემთხვევაში, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა დ. ც.-მ შეიცვალა დამოკიდებულება; პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის ზეპირ განმარტებაზე, სადაც ადვოკატმა დაგმო მისი არაეთიკური ქცევა, განაცხადა, რომ სრულად იაზრებს მისი ქმედების ადვოკატის როლთან შეუთავსებლობას; ნანობს და ბოდიშს უხდის მოსამართლეს. ადვოკატმა პოზიციის დასადასტურებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა თ. ს. ს.-ში წარდგენილი განცხადება და განმარტა, რომ მომავალში პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას იმოქმედებს ეთიკის კოდექსის სტანდარტების შესაბამისად. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მართალია, საქმისწარმოების მიმდინარეობისას ადვოკატს შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, თუმცა კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის პიროვნულ მახასიათებლებს: მის დამოკიდებულებას; ფაქტს, რომ ადვოკატმა შეცვალა დამოკიდებულება, აღიარა რომ მისი ქცევა არ შეესაბამებოდა ეთიკის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს, ბოდიში მოუხადა მომართვის ავტორს და განაცხადა, რომ მომავალში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ზედმიწევნით დაიცავს ეთიკის კოდექსის ნორმებს. აღნიშნული გარემოებების, განსაკუთრებით, ადვოკატის პირადი დამოკიდებულების გათვალისწინებით, კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა. განხილვის კოლეგიის პოზიციით, აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაში დისციპლინირების ისეთი მიზნები, როგორებიცაა დისციპლინური გადაცდომის პრევენცია - კონკრეტული ადვოკატის მიმართ და ადვოკატთა პროფესიული ღირებულებების დაცვა, შესაძლებელია ადვოკატ დ. ც.-ისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრებითაც.

6.12 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.13 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N041/22 ადვოკატ დ. ც.-ის /სიითი N/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/